

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

რობერტ ლუის სტივენსონი

განძის კუნძული



ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე გამყრელიძემ

ილუსტრატორი ნათია კვარაცხელია



გააკურსულაქაურის
გამომცემლობა

შინაარსი

ნაწილი I. ბეზერის მემკობრა

1. ბეზერი ზღვის მგელი ფუნდუკში „ადმირალი ბენბოუ“ ...7
2. „შავი ძალი“ გამოჩნდება და გაქრება 16
3. შავი ნიშანი..... 24
4. მეზღვაურის ზანდუკი 32
5. ბრმის აღსასრული 40
6. კაპიტნის ქალღდები 47

ნაწილი II. ბემის მზარეული

7. მე ბრისტოლში მივდივარ..... 59
8. სამიკიტნო „ჭოგრიტი“..... 66
9. თოფისწამალი და იარაღი 73
10. მეზავრობა ზღვაზე 80
11. რა გავიგონე ვაშლის კასრში..... 88
12. ომის თათბირი..... 98

ნაწილი III. ჩემი თავგადასავალი ხმელეთზე

13. როგორ დაიწყო ჩემი თავგადასავალი ხმელეთზე..... 107
14. პირველი დარტყმა..... 114
15. კუნძულები..... 121

ნაწილი IV. ბებერი მემკობრე

16. ექიმი აგრძელებს თხრობას: როგორ დატოვეს გემი...	133
17. ექიმი აგრძელებს თხრობას: პატარა ნავის უკანასკნელი მგზავრობა.....	139
18. ექიმი აგრძელებს თხრობას: პირველი დღის ბრძოლის დასასრული.....	145
19. კვლავ ჯიმ ჰოკინზი აგრძელებს თხრობას: მეციხოვნენი ძელურში.....	151
20. სილვერის მოციქულობა.....	158
21. იერიში.....	166

ნაწილი V. ჩემი თავგადასავალი ზღვაში

22. როგორ დაიწყო ჩემი საზღვაო ფათერაკები.....	175
23. უკუქცევის ნაკადში.....	182
24. მგზავრობა ციცქნა ნავით.....	189
25. „მხიარულ როჯერს“ ძირს ვუშვებ.....	197
26. იზრავლ ჰენდზი.....	204
27. „რვიანები“.....	216

ნაწილი VI. კაპიტანი სილვერი

28. მტრის ბანაკში.....	225
29. კვლავ შავი ნიშანი.....	235
30. პატიოსანი სიტყვა.....	243
31. განძის ძებნა. ფლინტის გეზის მაჩვენებელი ისარი..	252
32. განძის ძებნა. ხმა ტყეში.....	261
33. ბელადის დამხობა.....	268
34. და უკანასკნელი.....	276

ნაწილი I

ბებერი მეკობრე

ბებერი ზღვის მგელი ფუნდუკში „ადმირალი ბენზოუ“

სკვაირმა* ტრელონიმ, ექიმმა ლივსიმ და სხვა ჯენტლმენებმა მთხოვეს, დაწვრილებით ამეწერა განძის კუნძულის ამბავი, ოღონდ კუნძულის გრძედისა და განედის მაჩვენებლები არ მეხსენებინა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდან განძი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის წამოღებული. მეც 17... წელს ვიღებ ხელში კალამს და ვუბრუნდები იმ ხანას, როცა მამაჩემს ფუნდუკი „ადმირალი ბენზოუ“ ჰქონდა და როცა ჩვენს ჭერქვეშ პირველად დაბინავდა ლოყაგაჩეხილი, მზით გარუჯული მოხუცი მეზღვაური.

თითქოს გუშინ მოხდაო, ისე მახსოვს, როგორ მოადგა მოხუცი ლასლასით ფუნდუკის კარს. მისი საზღვაო ზანდუკი ორთვალა ურიკით უკან მოჰქონდათ. იგი ზორბა, ღონიერი, მაღალი, მიხაკისფრად დამწვარი კაცი იყო. გაკუპრული ნაწნავი ზურგს უკან, გაქონილ ლურჯ ხიფთანზე** გადაეგდო, ხელები კოჟურიანი და ნაჭრილობევი ჰქონდა, ფრჩხილები – ჩაშავებული და მომტვრეული; ერთ ლოყაზე მოლურჯო-რუხი ფერის ნახმლევი აჩნდა. მახსოვს, როგორ ათვალე-რებდა ყურეს და თავისთვის უსტვენდა. მერე კი უცბად მეზ-

* სკვაირი – ინგლისური დაბალი სათავადაზნაურო ტიტულის, ესკვაირის შემოკლებული ფორმა

** მამაკაცის გრძელკალთიანი ზედა სამოსი

ღვაურთა ძველი სიმღერა წამოიწყო, რომელსაც შემდეგაც ხშირად მღეროდა:

„მკვდრის სკივრს თხუთმეტი კაცილა შერჩა...
იო-პო-პო-პო, და ბოთლი რომი!“

მჭახე, ბებრული, ჟღრიალა ხმა ჰქონდა, რომელიც ეტყობა ღუზის ასანვევ-დასანვევთან მუშაობის დროს ღრიალისას ჩახრინნოდა. მერე პატარა ჯოხით მოუკაკუნა კარს და როცა მამაჩემი გამოეგება, უკმეხად მოითხოვა ერთი ქიქა რომი. ნელა სვამდა, საქმის მცოდნის იერით ნება-ნება უსინჯავ-და გემოს, თან გარშემო კლდეებს ათვალიერებდა და ჩვენს აბრასაც ახედავდა ხოლმე.

– მშვენიერი, მყუდრო ყურეა, – თქვა ბოლოს, – სამიკიტ-ნოც ჩინებულ ადგილასაა. ძმობილო, ბევრი მუშტარი გყავს?

– არა, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მუშტარი მყავს, – უპასუხა მამაჩემმა.

– ძალიანაც კარგი. ესე იგი, ეს იქნება ჩემი სადგომი, – თქვა მოხუცმა და იმ კაცს გასძახა, მის ურიკას რომ მოაგორებდა, – ჰეი, ძმობილო, ეგ ურიკა აქეთ მოაყენე და სკივრი ზემოთ ამომიტანე. აქ უნდა დავრჩე ცოტა ხანს... მე უბრალო კაცი გახლავარ, – მოუბრუნდა ისევ მამას, – მარტო რომი, ლორი და კვერცხი მინდა და აგე, ის მწვერვალი, რომ იქიდან გემებს ვუთვალთვალო. როგორ უნდა მომმართო? შეგიძლია კაპიტანი დამიძახო. ოჰ, ვიცი, რაც გადარდება... აჰა! – და სამი თუ ოთხი ოქრო გადმოყარა ზღურბლზე, – მითხარი, როცა გამოგელევა! – დაამატა მკაცრად და ისეთი რისხვით გადმოგვხედა, თითქოს იქაურობის ბატონ-პატრონი ის ყოფილიყოს.

მართლაც, თუმცა ცუდი სამოსი ეცვა და ტლანქადაც ლაპარაკობდა, უბრალო მეზღვაურის იერი არ ჰქონდა.

მბრძანებლობასა და მუშტის ტრიალს ჩვეულ კაპიტნის თანაშემწეს, ანდა სავაჭრო გემის კაპიტანს უფრო ჰგავდა. ურიკის პატრონმა გვიამბო: წინა დილით ფუნდუკ „მეფე გეორგის“ წინ ჩამოხტა საფოსტო ეტლიდან, გამოიკითხა, სანაპიროს გაყოლებაზე რა ფუნდუკები იყო და ალბათ როცა ჩვენი ფუნდუკი დაუხასიათეს, ეს აირჩია. ეს იყო და ეს, რაც ჩვენი სტუმრის შესახებ შევიტყვეთ.

ბუნებით ძალიან ჩუმი კაცი გახლდათ. მთელ დღეს თითბრის ჭოგრიტმომარჯვებული ყურეს გარშემო დაეხეტებოდა ან კლდეებზე დაფოფხავდა. სადამოიხით სასტუმროს დარბაზის კუთხეში იჯდა ცეცხლის პირას და ნყალშერეულ მაგარ რომს წრუპავდა. თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, მეტწილად პასუხს არ აღირსებდა, უცბად მრისხანედ გადმოუბრიალებდა თვალებს და ისე დაიქშიტინებდა ცხვირით, თითქოს გემის საყვირი იყო. ჩვენც და ჩვენს სახლში მოსიარულე ხალხმაც მალე ავუღეთ ალღო და ყურადღებას აღარ ვაქცევდით. ყოველდღე, როგორც კი სეირნობიდან დაბრუნდებოდა, იკითხავდა, გზაზე მეზღვაურს ხომ არ გაუვლიათ. თავდაპირველად გვეგონა, თავისი ჯურის ადამიანებს ისაკლისებს და იმიტომ კითხულობსო, მაგრამ ბოლოს შევამჩნიეთ, რომ პირიქით – სურდა მათთვის თავი აერიდებინა. როცა „ადმირალ ბენბოუში“ ვინმე მეზღვაური შემოვიდოდა (ბრისტოლისკენ ნაპირ-ნაპირ მიმავლებმა ხანდახან იცოდნენ ხოლმე შემოვლა), კაპიტანი სასტუმრო ოთახში გამოსვლამდე კარს უკან ფარდას ამოფარებული შეათვალიერებდა მას და თან თავგვივით გაისუსებოდა. ჩემთვის არაფერი იყო აქ გასაკვირი, რადგან ერთგვარად მისი მოუსვენრობის მონაწილე ვიყავი. ერთ დღეს გვერდით გამიხმო და დამპირდა: ყოველი თვის პირველ რიცხვში ვერცხლის ოთხპენიანს მოგცემ, თუ ფხიზლად ადევნებ თვალს ცალფეხა მეზღვაურს და, რა-

ნამს გამოჩნდება, მაშინვე შემატყობინებო. საკმაოდ ხშირად, როცა თვის პირველში გასამრჯელოსთვის მივადგებოდი, ის მხოლოდ ცხვირით დამიქშიტინებდა და ისე მომაშტერდებოდა, რომ თვალს ველარ ვუსწორებდი. თუმცა კვირის ბოლომდე უეჭველად აზრს შეიცვლიდა, ჩემს ოთხპენიანს მომიტანდა და ბრძანებას გამიმეორებდა: ფხიზლად ადევნე თვალი ცალფეხა მეზღვაურსო.

თქმა არ უნდა, ეს იდუმალი ცალფეხა პიროვნება ძილშიც არ მასვენებდა. ქარიშხლიან ღამეებში, როცა ქარი მთელ სახლს აზანზარებდა, ხოლო ზვირთები ყურეში ბორგავდა და კლდეებს ეხეთქებოდა, ცალფეხას აჩრდილი ათასნაირი ფორმით, ათასნაირი ემმაკური გამოსახულებით წარმომიდგებოდა თვალწინ. ხან მუხლში ჰქონდა გადაჭრილი ფეხი, ხან – თეძოში; ხან ურჩხულის მსგავსი არსება იყო, რომელსაც ერთი ფეხის მეტი არც არასოდეს გააჩნდა და ისიც სხეულის შუაგულში ება. ყველა მაჯლაჯუნაზე უარესი მაშინ იყო, როცა მესიზმრებოდა, თითქოს ღობეებსა და თხრილებზე ხტომა-ხტომით მომდევნა ფეხდაფეხ. ერთი სიტყვით, ამ საზიზლარი მოჩვენებების წყალობით, ძალიან ძვირად მიჯდებოდა ეს ჩემი ყოველთვიური ოთხპენიანი.

მაგრამ თუ ცალფეხა მეზღვაურის აჩრდილი ასე მაფრთხობდა, თვითონ კაპიტნისა, მის ნაცნობებს შორის, ყველაზე ნაკლებად მეშინოდა. ზოგჯერ ღამით ზომაზე მეტ წყალგარეულ რომს მიირთმევდა, გაღეშილი აინუნშიც არავის აგდებდა და მოჰყვებოდა თავის პირქუშ, ძველებურ, უხიაკ ზღვაოსნურ სიმღერებს. ხანდახან ყველასათვის ჭიქებს მოატანინებდა და მთელ აცახცახებულ კრებულს აიძულებდა მისი ნაამბობი ესმინა, ანდა ხმა შეეწყო სიმღერისათვის. ხშირად აზანზარებდა სახლს სიტყვები: „იო-ჰო-ჰო-ჰო, და ბოთლი რომი“. საცოდავი მუშტრები სიკვდილის

შიშით გაჰკიოდნენ და ერთმანეთს ღრიალში ეჯიბრებოდნენ, აქაოდა შენიშვნა არ მივიღოთო. თორემ მტრისას, თუ მოხუცს რამე არ მოეწონებოდა, – დასცხებდა ხელს მაგიდას და იღრიალებდა, კრინტი არავინ დაძრასო. თუ ვინმე რამეს შეეკითხებოდა, რისხვის აღმური მოედებოდა სახეზე. ხანდახან იმაზეც განრისხდებოდა, თუ არაფერს ჰკითხავდნენ, რადგან დაასკვნიდა, ყურს არ მიგდებენო. არც არავის გაუშვებდა ფუნდუკიდან, სანამ სმისაგან ძილი არ მოერეოდა და დასანოლად არ წალასლასდებოდა.

ხალხს ყველაზე მეტად მისი ნაამბობი აფრთხობდა. შემადრწუნებელ ამბებს ჰყვებოდა: ეს ჩამოხრჩობა და ფიცარზე გასვლაო*; ის – ზღვის ღელვა, დრაი ტორტუგას კუნძულებიო; უხამსი საქმეები და უდაბური ადგილები ესპანეთის ზღვაშიო**. მისივე ნათქვამის თანახმად, მთელი სიცოცხლე უნდა გაეტარებინა ყველაზე უღმობელ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ოდესღაც ღმერთს ზღვაში სამოგზაუროდ განუწესებია. მისი ლაპარაკის კილოც თითქმის ისევე სცემდა თავზარს ჩვენს უბრალო სოფლელ ხალხს, როგორც აღწერილი ბოროტმოქმედებანი. მამაჩემმა დაიჟინა, ფუნდუკი გაგვიკოტრდებო; ხალხი მალე შეწყვეტს სიარულს, თავი რომ დააღწიოს ამ მტარვალს, მისგან აბუჩად აგდებასა და ძილის წინ გულის ხეთქვასო. თუმცა მე უფრო მგონია, კაპიტნის ყოფნა სასიკეთო გახლდათ ჩვენთვის. ხალხი მაშინ კი ფრთხებოდა, მაგრამ როცა მოგონებაზე მიდგებოდა საქმე, მოსწონდათ კიდევ – სათავგადასავლო ამბების მოსმენა ჩინებული გართობა იყო წყნარ სოფლურ ცხოვრებაში. ერთი

* მეკობრეები ზოგ ტყვეს აიძულებდნენ, ზღვაში გადაშვერილ მორყეულ ფიცარზე თვალახვეული გასულიყო, სანამ ზღვაში არ გადავარდებოდა ფიცრიანად.

** კარიბის ზღვის ძველი სახელწოდება

ისეთი ჯგუფიც კი გამოირჩა უფრო ახალგაზრდებისა, რომლებიც თითქოს თაყვანს სცემდნენ მას; „ნამდვილ ზღვის მეგლ“, „ჭემმარიტ ძველ მეზღვაურს“ და სხვა ამგვარ სახელებს ეძახდნენ; თან ამბობდნენ, ინგლისს ზღვაზე სწორედ ამისთანა ვაჟკაცებმა მოუპოვეს მრისხანე სახელიო.

ერთი მხრივ, თითქოს მართლა გვიპირებდა გაკოტრებას. კვირა – კვირას, თვე თვეს მიჰყვა და მისი მოცემული მთელი ფული დიდი ხანია დაიხარჯა. მამაჩემმა კი ვერა და ვერ მოიცა გული, დამატებით გადახდა დაჟინებით მოეთხოვა მისთვის. თუ ოდესმე შეახსენებდა, კაპიტანი ერთს დაიქმნებდა, თვალებს გადმოუბრიალებდა და საბრალო მამაჩემი შეშინებული გამოვარდებოდა გარეთ. მინახავს, ასე უკმეხი უარის შემდეგ როგორ იმტვრევდა მამა ხელებს და დარწმუნებული ვარ, ამ დარდმა და შიშმა შეუწყო ხელი მის ნაადრევად გარდაცვალებას.

მთელ ამ ხანს, რაც ჩვენთან ცხოვრობდა, კაპიტანს სამოსიდან თითქმის არაფერი გამოუცვლია. მხოლოდ რამდენიმე წყვილი წინდა იყიდა მენწვრილმანისგან. ქუდის ერთი კუთხე ჩამოეშალა, მაგრამ ხელიც არ უხლია მისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ქარიან ამინდში ძალიან აწუხებდა. მახსოვს მისი ხიფთანი, რომელსაც თვითონვე იკერებდა თავის ოთახში და ბოლოს მარტო დაბეჭკილი* კონკებილა დარჩა. წერილი არასოდეს დაუწერია, არც მიუღია, არც არავის დალაპარაკებია, გარდა მეზობლებისა, და მათაც უმეტესად მაშინ თუ გასცემდა ხმას, როცა რომით იყო გაღეშილი. მისი დიდი სკივრიც არავის უნახავს გახსნილი.

მხოლოდ ერთხელ შეუბრუნეს სიტყვა და ისიც ბოლოს, როცა საბრალო მამაჩემს ძალიან დარია ხელი სენმა, რომელ-

* დაკონკილი, დაკერებული

მაც გადაიყოლა კიდეც. ექიმმა ლივსიმ გვიან ნაშუადღევს შემოიარა ავადმყოფის სანახავად, დედაჩემის მირთმეულ სადილს გემო გაუსინჯა და სასტუმრო ოთახში შევიდა ჩიბუხის მოსანევად, სანამ სოფლიდან ცხენს მოუყვანდნენ, რადგან ჩვენს ძველ ფუნდუკს საჯინიბო არ გააჩნდა. მეც შევედი და მახსოვს, თვალში მეცა განსხვავება, თოვლივით თეთრ პუდრმოყრილ პარიკიან, შავ, მკვირცხლთვალეებიან, თავაზიან, ფაქიზ, გაკრიალებულ ექიმსა და ხეპრე სოფლელებს შორის; ყველაზე მეტად კი იმ საზიზღარ ზორბა, გამოშტერებულ, საფრთხობელა მეზღვაურს შორის, რომელიც საძაგლად გამომთვრალიყო რომით. უცებ მან, ესე იგი, კაპიტანმა, თავისი საყვარელი სიმღერა შემოსძახა:

„მკვდრის სკივრს თხოუმეტი კაცილა შერჩა...
იო-ჰო-ჰო-ჰო და ბოთლი რომი!
სხვანი სმას, ეშმაკს ვერ გადაურჩნენ...
იო-ჰო-ჰო-ჰო და ბოთლი რომი!“

თავდაპირველად „მკვდრის სკივრი“ ის დიდი ყუთი მეგონა, ზემოთ, წინა ოთახში რომ იდგა და ეს აზრი გადაეხლართა იმ ჩემს ცალფეხა მეზღვაურთან დაკავშირებულ უჟმურ ზმანებებს. მაგრამ ჩვენ უკვე დიდი ხანია აღარავითარ ყურადღებას აღარ ვაქცევდით ამ სიმღერას. სიმღერა იმ ღამეს მარტო ექიმ ლივსისთვის იყო ახალი ხილი და შევნიშნე, რომ მასზე ვერაფერი საამო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მან წამიერად ძალიან გაჯავრებით გადმოხედა მეზღვაურს, ხოლო მერე კვლავ განაგრძო ბაასი მოხუც მეზღვე ტეილორთან ქარების* ახლებურად წამლობის თაობაზე. ამასობაში კაპიტანი ნელ-ნელა შევიდა სიმღერის ეშხში და ბოლოს ხელი მაგიდას დაათხლიშა, რაც კარგად ვიცოდით, იმას ნიშნავდა,

* სახსრებისა და კუნთების დაავადება, რომელიც ძლიერ ტკივილს იწვევს.

ხმა გაკმინდეთო. ყველამ ჩაინყვიტა ხმა ექიმ ლივისის გარდა. ის ძველებურად მკაფიოდ და ალერსიანი ტონით განაგრძობდა ლაპარაკს, თან წამდაუნუმ, ყოველი ერთი-ორი სიტყვის შემდეგ, ჩიბუხს ეწეოდა. კაპიტანმა ერთხანს უბრიალა თვალები და კვლავ დასცხო ხელი მაგიდას, ბოლოს ერთი საზიზღრად, უწმანურად შეიგინა და იღრიალა:

– ხმა ჩაიკმინდეთ მანდ, გემბანზე!

– მაგას მე მეუბნებით, ბატონო ჩემო? – ჰკითხა ექიმმა და როცა იმ გიჟმა კვლავ გინებით დაუდასტურა, მიუგო: – მე მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით, ბატონო ჩემო, თუ რომის სმას არ მოეშვებით, ქვეყანა მალე გათავისუფლდება ერთი მეტად ბინძური არამზადისაგან!

ბერიკაცის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. წამოხტა, იძრო მეზღვაურის დასაკეცი დანა, გაშალა, დაიდო ხელისგულზე და ექიმს დაემუქრა, კედელზე მიგლურსმავო.

ექიმი არც განძრეულა. კვლავ ძველებურად ზურგშექცეული ელაპარაკებოდა მეზღვეს იმავე ალერსიანი კილოთი; ოღონდ ხმას ცოტა აუნია, რომ მთელ ოთახს გაეგონა. მერე მეზღვაურს წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმით უთხრა:

– თუ მაგ დანას ახლავე ჯიბეში არ ჩაიდებთ, პატიოსნებას გეფიცებით, სასამართლოს მორიგ სხდომაზე ჩამოხრჩობას ვერ გადარჩებით.

შემდეგ მათ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და დიდხანს მიშტერებოდნენ ასე, მაგრამ კაპიტანი მალე გატყდა, იარალი ჯიბეში ჩაიდო და ნაცემი ძალღივით ღრენით დაჯდა თავის ადგილას.

– ახლა, ბატონო ჩემო, – განაგრძო ექიმმა, – რაკი გავიგე, რომ ასეთი ვინმე ცხოვრობს ჩემს კუთხეში, იცოდეთ, თვალს აღარ მოგაშორებთ არც დღე და არც ღამე. მე მარტო ექიმი როდი ვარ, მსაჯულიც გახლავარ და ერთი საჩივარიც რომ

გავიგო თქვენზე – თუნდაც ამლამინდელი უზრდელობის მსგავსი, სათანადო ღონეს ვიხმარ, შეგიპყრან და გაგაძევონ აქედან. კარგად დაიმახსოვრეთ!

მალე ცხენი მოაყენეს კარს და ექიმი ლივსი გაემგზავრა. კაპიტანი კი მთელ იმ სალამოს ჩუმად იჯდა და ბევრ მომდევნო სალამოსაც აღარ დაურღვევია მყუდროება.

2

„ძავი ძაღლი“ გამოჩნდება და გაქრება

ღ მის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია, რომ მოხდა პირველი იმ უცნაურ ამბავთაგანი, რომლებმაც ბოლოს თავიდან მოგვაშორეს კაპიტანი, თუმცა, როგორც დარწმუნდებით, მხოლოდ კაპიტანი და არა მისი საქმეები. ცივი, სუსხიანი ზამთარი იდგა, ხანგრძლივი, სასტიკი ყინვებითა და მძაფრი ქარებით. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საწყალი მამაჩემი გაზაფხულამდე ველარ გაატანდა. დღითი დღე ილეოდა. მთელი ფუნდუკი დედაჩემისა და ჩემს ანაბარა დარჩა და იმდენად ვიყავით საქმით დატვირთულები, რომ ჩვენს უსიამოვნო სტუმარს დიდ ველარაფერ ყურადღებას ვაქცევდით.

იანვრის დილა იყო – სუსხიანი, სისხამი დილა. მთელ ყურეს ნაცრისფრად დასდებოდა ქირხლი. მზე კარგად არც იყო ამოსული – მხოლოდ მთის წვერებს სწვდებოდა და შორს ზღვაში კიაფობდა. კაპიტანი ჩვეულებრივზე ადრე ადგა და გზას ზღვის ნაპირისაკენ დაუყვა. მისი ზღვაოსნის დაშნა ძველი ლურჯი ხიფთანის განიერ კალთებში მიქანაობდა. ილიაში თითბრის ქოგრიტი ამოედო, ქუდი კინკრისხოზე მოექცია. მახსოვს, რომ მიაბიჯებდა, ზურგს უკან ბოლივით მიჰყვებოდა თავისივე ამონასუნთქი. უკანასკნელი ხმა, რომელსაც ყური მოვკარი, როცა დიდ კლდესთან მოუხვია, გაგულისებული, ხმამალალი ქშიტინი იყო.

დედაჩემი ზემოთ იყო მამასთან, მე კი საუზმეს ვუშლიდი